



საქართველოს ენერგეტიკა
ევროკავშირის ენერგეტიკული კავშირის
კონტექსტში



შინაარსი

შესავალი	2
2. ენერგეტიკული უსაფრთხოება, სოლიდარობა და ნდობა	3
2.1. ეროვნული ენერგეტიკული მიქსი და სამომავლო განვითარება	3
2.2. თანამშრომლობა და დაპირისპირება მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობაში	6
3. ევროპის ენერგეტიკული ბაზარი.....	7
3.1. ადგილი და როლი ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან ინტეგრაციაში	7
3.2. ადგილი და როლი მეზობლებთან ინტეგრაციაში	8
3.3. რეკომენდაციები ეროვნულ და ევროკავშირის ხელისუფლებებს	8
4. ენერგოეფექტურობის გავლენა მოთხოვნის შემცირებაზე.....	9
4.2. ევროკავშირის მხარდაჭერა ენერგოეფექტურობის გაძლიერების კუთხით.....	10
4.3. ეროვნული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები - რეკომენდაციები	11
5. ეკონომიკის დეკარბონიზაცია.....	12
5.1. ქვეყანაში არსებული სიტუაცია პარიზის შეთანხმებასთან მიმართებით - მოვალეობები, ეროვნული გეგმების შესრულება, გამოწვევები	12
5.2. ეროვნული ეკონომიკური პროგრამები დეკარბონიზაციის თვალსაზრისით.....	13
5.3. დეკარბონიზაციისკენ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები	14
6. კვლევა, ინოვაცია და კონკურენცია	15
6.1. ენერგეტიკის სექტორში კვლევების პოტენციალი (ინსტიტუტები, შედეგები ბოლო წლების განმავლობაში).....	16
6.2. ევროკავშირის ინსტიტუტებთან არსებული და სამომავლო თანამშრომლობა.....	17
6.3. თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკები, რეკომენდაციები გაძლიერებისთვის (პორიზონტი 2020, და ა.შ	17
დასკვნა.....	19

შესავალი

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის¹ მთავარი მიზანი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდაა. ენერგეტიკული უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული ღირებულებების და ინტერესების განმტკიცებას ემსახურება სხვადასხვა ენერგეტიკული პროდუქტის ხარისხიანი და უწყვეტი მიწოდებით ხელმისაწვდომ ფასად.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს მიახლოება ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს: კონკურენტუნარიანი, გამჭვირვალე და ეფექტური ენერგეტიკული საბაზრო მოდელის და მიმზიდველი, სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნას, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ენერგეტიკული ვაჭრობის განვითარებას, განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას და ქვეყანაში ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული ღონისძიებების მხარდაჭერას ეკონომიკურად და ეკოლოგიურად ხელსაყრელი საშუალებებით.

საქართველოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში, იყოს მთავარი კორიდორი კასპიის და ცენტრალური აზიიდან ნავთობისა და გაზის შემოტანისას და შექმნას ინტეგრირებული ქსელი რეგიონისა და ევროპელი მომხმარებლებისთვის სუფთა ჰიდროელექტრო ენერჯის მისაწოდებლად.

2016 წლის 14 ოქტომბერს², სარაევოში, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა ხელი მოაწერა ოქმს „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ“³. საქართველოს პარლამენტის რატიფიკაციის შემდგომ, ქვეყანა გახდება ენერგეტიკული გაერთიანების ოფიციალური და სრულფასოვანი კონტრაქტორი მხარე.

ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ენერგეტიკული სექტორის

¹ [MAIN DIRECTIONS OF THE STATE POLICY IN ENERGY SECTOR OF GEORGIA](#)

² <http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?lang=eng&id=633>

³ <http://energy.gov.ge/projects/pdf/news/Concerning%20The%20Accession%20of%20Georgia%20to%20the%20Treaty%20Establishing%20the%201453%20eng.pdf>

განვითარების გზაზე. საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა და მხარდაჭერა მოარგოს საკუთარი ენერგეტიკის სექტორი ევროკავშირის სტანდარტებს, რაშიც მოიაზრება კონკურენტული ბაზრის შექმნა, ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება, განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების წახალისება და ენერგოეფექტურობის განვითარება.


2. ენერგეტიკული უსაფრთხოება, სოლიდარობა და ნდობა

2.1. ეროვნული ენერგეტიკული მიქსი და სამომავლო განვითარება

2014 წელს ენერჯის მიწოდება უტოლდებოდა 4.48 მილიონ ტონა ნავთობის ეკვივალენტს (Mtoe) საიდანაც 1.37 Mtoe წარმოადგენდა შიდა წარმოებას (ქვეყნის საერთო საშინაო ენერჯის მიწოდების 31%-ს) ენერჯის მთავარი წყაროებია ბუნებრივი აირი, ნავთობპროდუქტები, ჰიდროენერჯია, შეშა და ნახშირი.

საქართველო ენერჯის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა. იმპორტი 62%-დან 73%-მდე მერყეობს. აზერბაიჯანი და რუსეთი მთავარი ენერგოექსპორტიორი ქვეყნებია. მათგან იმპორტირებული ბუნებრივი აირი და ნავთობპროდუქტები ქვეყნის ენერგეტიკული მიწოდების 41% და 25% შეადგენს.

ჰიდროენერჯია მესამე უმსხვილესი წყაროა, რომელიც საერთო ენერგეტიკული მიწოდების 16% შეადგენს. შეშაც ასევე არის უმნიშვნელოვანესი ადგილობრივი ენერჯის წყარო და ძლიერი ფაქტორი ქვეყნის ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად. ამჟამად, შეშა წარმოადგენს მთლიანი შიდა ენერგეტიკული მიწოდების 34%-ს.⁴



ბოლო წლებში საქართველოში ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები, ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმები განხორციელდა,

⁴ http://geostat.ge/cms/site_images/files/english/Energy/Energy_Balance_2014_ENG.pdf

რასაც თან სდევდა ქვეყნის ენერგეტიკის სექტორის მოდერნიზაცია, მოხდა ენერგეტიკული რესურსების მიწოდების დივერსიფიკაცია და ადგილობრივი რესურსების განვითარება.

თუმცა, მოთხოვნის ზრდისა და ჰიდროენერჯის კლიმატზე დამოკიდებულების გამო, რთულია ქვეყნის ენერგეტიკული საჭიროებები მუდმივად დაკმაყოფილდეს მხოლოდ ადგილობრივი რესურსებით.

როდესაც საქმე ეხება უწყვეტი ენერჯის მიწოდებას მოსახლეობისა და ეკონომიკის სექტორებისათვის, საქართველოს ენერგეტიკის სექტორი შესაძლოა მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდეს. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს იმპორტირებული რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეებით, რასაც იწვევს რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კლიმატური პირობები, ინფრასტრუქტურის განადგურება, ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ.

ყველა ფაქტის გათვალისწინებით, ენერგეტიკის სამინისტროს ძალისხმევა მიმართულია ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციასა და განვითარების პროექტების განხორციელებაზე, ასევე - სისტემის სანდოობის გაუმჯობესებაზე⁵.

„საქართველოს ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურის განვითარების ათწლიანი (2016-2025) გეგმის“⁶ მიხედვით, ბუნებრივი აირის მოხმარებამ 2030 წლისთვის შესაძლოა 3.5 ბილიონ კუბურ მეტრს მიაღწიოს (დატვირთვის პიკი შესაძლოა გაიზარდოს 1.6-ჯერ და მეტად.) ზრდა, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამის განვითარებას და ინვესტიციებს ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურაში, რაც ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის საკითხია. პროექტის საერთო ღირებულება 1.5 მილიარდ ლარს წარმოადგენს. მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობა და ამოქმედება 2016-2020 წლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურულ პროექტს წამროადგენს.

გეგმა, რომელიც ათი წლის განმავლობაში განსახორციელებელ ყველა მოსალოდნელ პროექტს მოიცავს, მომზადდა ევროპული პარლამენტის და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/73/EC დირექტივასთან შესაბამისობით, ბუნებრივი აირის შიდა ბაზრის საერთო წესების, საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობის და საერთაშორისო რეგულაციების გათვალისწინებით.

საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის დოკუმენტი ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია. ენერგეტიკის სამინისტრომ ჯერ მხოლოდ ელექტროობის ნაწილი წარმოადგინა, რომელიც სტრატეგიის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს. ეს პრინციპები ითვალისწინებს:

⁵ დამოუკიდებელი საქართველოს ენერგეტიკა, 2016
⁶ <http://www.gogc.ge/uploads/other/1/1064.pdf> / <http://www.gogc.ge/uploads/other/1/1071.pdf>

- კანონმდებლობის გაუმჯობესებას
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას გამჭვირვალე პროცედურებისა და კონკურენტული ბაზრის არსებობით
- საქართველოს სატრანზიტო როლის გაძლიერებას
- ელექტროობისა და ბუნებრივი აირის ბაზრის და სავაჭრო მექანიზმების განვითარებას

პირველი ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა (NEEAP) განსაზღვრავს ამ მიმართულებით განსახორციელებელ მთავარ ქმედებებს:

- ენერგოეფექტურობის ფონდის დაარსება საქართველოში ევროკავშირის ქეყნების გამოცდილების გათვალისწინებით და ევროპული ფონდების დახმარებით.
- ენერგეტიკის აუდიტის და მართვის სისტემების ეტაპობრივი დანერგვა.
- სტანდარტების, ნორმებისა და სასერტიფიკაციო სქემების დანერგვა შენობებში.
- საშინაო ელექტრო ტექნიკის სავალდებულო ეტიკეტირება 2017 წლიდან და დაბალი ეფექტურობის საშინაო ტექნიკის იმპორტის აკრძალვა
- შესყიდვის პროცედურების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა მწვანე შესყიდვების კომპონენტის გათვალისწინებით.

დარგობრივი ღონისძიებები:

- ენერჯის ტრანსფორმაცია, გადაცემა, განაწილება და მოთხოვნაზე პასუხი
 - ბუნებრივი აირის დაზოგვა ძველი თბოსადგურების გაუქმებით და ახალი, კომბინირებული ციკლის თბოსადგურების გამოყენებაზე გადასვლით.
 - ენერგოეფექტური დაზოგვის პოტენციალი (2020 წლისთვის დანაზოგის მთლიანი რაოდენობის 36%)
- ჰიდროენერჯის წარმოებისას დანაკარგის შემცირება
 - განახლებადი ჰიდროენერჯის სადგურებში ინვესტირება და დისპეჩერულ სისტემაში ცვლილებების გამოკვლევა ეფექტურობის/ფასების გაუმჯობესებისთვის
 - ენერგოეფექტური დაზოგვის პოტენციალი (2020 წლისთვის დანაზოგის მთლიანი რაოდენობის 8%)
- ნორმატიული ელექტროობის დანაკარგის კალკულაციის წესების რეგულირება და გაზის მილებში დანაკარგის შემცირება
- ეფექტური შეშის ღუმელები
- განათება: თითოეული ქვე-სექტორისთვის განხილული პოტენციური დანაზოგები: ქუჩის განათება, ინდუსტრია, კომერციული/საცხოვრებელი შენობები, საჯარო შენობები - 2020 წლისთვის საერთო დანაზოგის 7%.
- რეკომენდებული დაზოგვის პროგრამები ინდუსტრიაში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სექტორს (ცემენტი, ლითონის ინდუსტრიები და სხვ)

- შენობები:
 - მშენებლობის ნებართვები უნდა გაიცეს 2016 წლის ენერგოეფექტურობის ღონისძიებებთან შესაბამისობაში
 - საჯარო შენობების რეკონსტრუქციებისა და მიშენებების დროს ასევე უნდა მოხდეს 2016 წლის ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გათვალისწინება
- ტრანსპორტის გაუმჯობესება იმ ქალაქებში, რომლებიც მერების შეთანხმების ხელმომწერები არიან (მთლიანი დანაზოგის დაახლოებით 7-10%)
- ტექნიკურ მხარდაჭერასთან, ენერგეტიკის აუდიტთან და ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

2.2. თანამშრომლობა და დაპირისპირება მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობაში

სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების პროექტი, ტრანს-ანატოლიის ბუნებრივი გაზის მილსადენთან და ტრანს ადრიატიკის მილსადენთან ერთად, ევროპისთვის სამხრეთის გაზის კორიდორის უმნიშვნელოვანეს პროექტებს წარმოადგენს. ამ პროექტების განხორციელების შემდეგ, აზერბაიჯანული გაზი და ცენტრალური აზიიდან შემოსული პოტენციური გაზი თურქეთისა და ევროპულ ენერგეტიკულ ბაზრებს საქართველოს გავლით მიეწოდება. ამ პროექტში საქართველოს ჩართულობა აძლიერებს მისი, როგორც ტრანზიტული ქვეყნის როლს რეგიონში და აუმჯობესებს საქართველოს იმიჯს, როგორც სანდო, მნიშვნელოვანი ტრანზიტული პარტნიორისა.⁷

საქართველოს ბუნებრივი გაზის სისტემის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით, რუსეთის მიერ სომხეთისთვის გაზის მოცულობის გაზრდა ან ახალი ტრანზიტული პროექტები ირანის გავლით არაა მოსალოდნელი. აზერბაიჯანი, საქართველოსთან და თურქეთთან ერთად, კასპიის ნახშირწყალბადების ევროპისთვის მიწოდების კუთხით მთავარ მოთამაშედ ყალიბდება. პირველ რიგში, ეს ეხება ყაზახეთის ნავთობრესურსებსა და თურქმენეთის ბუნებრივი გაზის რესურსებს.⁸

საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური დამაბულობის გათვალისწინებით, გაზის მიწოდებისას მოსალოდნელია შეფერხებები. რუსეთი ხშირად იყენებს გაზპრომს საქართველოზე პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად. მაგალითისთვის, 2006 წლის ზამთარში, რომელიც გამორჩეულად

⁷ დამოუკიდებელი საქართველოს ენერგეტიკა, 2016

⁸ <http://www.gogc.ge/uploads/other/1/1064.pdf>

ცივი წელი იყო საქართველოში, რუსეთმა 2 კვირით შეუწყვიტა საქართველოს გაზის მიწოდება, რაც შემდგომში ტექნიკური ხარვეზებით ახსნა. 2015 წლის ბოლოს, რუსეთმა კვლავ წინ წამოწია საქართველოსთვის გაზის მიწოდების შეზღუდვის საკითხი, მაშინ, როცა აზერბაიჯანი, ერთადერთი ალტერნატიული წყარო, ვერ ახერხებდა სრულიად დაეკმაყოფილებინა საქართველოში გაზრდილი მოთხოვნა. საბოლოოდ, 2016 წლის 4 მარტს, საქართველომ აზერბაიჯანულ კომპანია „სოკართან“ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას დამატებით 500 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიღების თაობაზე, რაზეც ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ საქართველოს აღარ დასჭირდებოდა დამატებითი გაზის რუსეთისგან შეძენა.⁹

3. ევროპის ენერგეტიკული ბაზარი

3.1. ადგილი და როლი ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან ინტეგრაციაში

საქართველო არ ესაზღვრება ენერგეტიკული გაერთიანების და ევროკავშირის ქვეყნებს. თუმცა, თურქეთი ცდილობს თავისი ენერგეტიკული სისტემა ევროპულ მოდელს მიაგოს, რაც საქართველოს მნიშვნელოვლად შეუმსუბუქებდა უსაფრთხოების პრობლემებს.

საქართველო არ არის ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზრებთან პირდაპირ დაკავშირებული, თუმცა ახალი კავშირების დამყარება ევროკავშირთან, სამხრეთის გაზის კორიდორისა და თურქეთთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის გაძლიერების ჩათვლით, ქმნის ახალ შესაძლებლობებს, რომელთა შესწავლა და გამოყენებაც უნდა მოხდეს.

ევროპის შიდა ელექტროენერჯის ბაზართან შეერთება საქართველოს საშუალებას მისცემს ჭარბი განახლებადი ენერჯია მომგებიან ევროპულ ბაზრებს თურქეთის გავლით მიაწოდოს. ამას შესაძლოა მოჰყვეს სარგებელი როგორც ენერჯის, ასევე კლიმატის შერბილების კუთხით.

საერთო ინტერესის პროექტები¹⁰ (PCI) მოიცავს რამდენი საინტერესო პროექტს:

- გაზის მილსადენი თურქმენეთიდან და აზერბაიჯანიდან ევროკავშირისკენ, საქართველოსა და თურქეთის გავლით, ასევე ცნობილი, როგორც „ტრანს-კასპიური გაზის მილსადენის“ (TCP), სამხრეთ-კავკასიის მილსადენის გაფართოების და ტრანს-ანატოლიის ბუნებრივი აირის მილსადენის კომბინაცია (TANAP)

⁹ <http://dfwatch.net/georgia-aims-to-maintain-10-share-of-gazprom-natural-gas-transit-41451>

¹⁰ https://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/documents/5_2%20PCI%20annex.pdf

- გაზის მილსადენი საბერძნეთიდან იტალიისკენ, ალბანეთის და ადრიატიკის ზღვის გავლით, ასევე ცნობილი, როგორც ტრანს-ადრიატიკის მილსადენი (TAP);
- გაზის მილსადენი საბერძნეთიდან იტალიისკენ - „პოსეიდონის მილსადენი“

3.2. ადგილი და როლი მეზობლებთან ინტეგრაციაში

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის თანახმად, ქვეყანაში არსებული ჰიდრორესურსები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი, საქართველოს საშუალებას აძლევს საკუთარი თავი აქციოს სუფთა ენერჯის წარმოების და ვაჭრობის რეგიონულ პლატფორმად. ამ მიზნის მისაღწევად, გადამწყვეტია მუშაობა გაგრძელდეს საკანონმდებლო ჩარჩოზე, სამეცნიერო-კვლევით და ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე, რათა მოხდეს საქართველოს ხელთ არსებული სუფთა ენერჯის პოტენციალის გამოყენების მხარდაჭერა და საქართველოს ჰქონდეს საშუალება გახდეს სუფთა ენერჯით ვაჭრობის რეგიონული ცენტრი.

საქართველო დიდ ჰიდროელექტროენერჯულ პოტენციალს ფლობს და მისი სრულად გამოყენების შემთხვევაში, ქვეყანა შეძლებს მნიშვნელოვანი რაოდენობის სუფთა ენერჯის ექსპორტს მეზობელ ქვეყნებსა და შესაძლებელია, ევროკავშირშიც. თუმცა, ჰიდროენერჯის პროდუქტების სეზონურობა საქართველოს ზამთრის თვეებში რუსეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე ხდის დამოკიდებულს.

2016 წლის თებერვლიდან, საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემამ დაიწყო ელექტროენერჯის ტრანზიტი¹¹ აზერბაიჯანიდან თურქეთში. ტრანზიტი ხორციელდება ელექტროგადამცემი ხაზი „გარდაბანის“ საშუალებით.

3.3. რეკომენდაციები ეროვნულ და ევროკავშირის ხელისუფლებებს

1. საგანგებო სამოქმედო გეგმის და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ენერჯის ინფრასტრუქტურის დაზიანების საწინააღმდეგო დამცავი ღონისძიებების შემუშავება ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი უნდა გახდეს. უნდა შემუშავდეს ღონისძიებები სტრატეგიული რეზერვების შექმნის, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის, წინასწარი გამაფრთხილებელი მექანიზმების და საგანგებო მოქმედებების ჩათვლით.

¹¹ http://esco.ge/index.php?article_id=208&clang=0

2. საქართველომ უნდა დააჩქაროს ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა, რათა უკეთ იყოს დაცული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა შესაძლო ფიზიკური თუ კიბერ-ტერორიზმის შემთხვევებისგან. ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლის გაძლიერება ნატოს ფორმატის ჩათვლით (ეს შესაძლოა იყოს ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ცენტრი) შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიმართულებით.
3. საქართველომ უნდა განავითაროს შიდა ენერგეტიკული რესურსები, შექმნას გაზსაცავი და ნავთობის რეზერვები, შეიმუშაოს ენერგოეფექტურობის პოლიტიკა, მოახდინოს სამომავლო ენერგომიწოდების დივერსიფიკაცია და ეძებოს სხვა გზები რეგიონში მეტი პოლიტიკური სტაბილურობისთვის.
4. მხარი დაუჭიროს შიდა ენერჯის ინფრასტრუქტურის განვითარებას და სტრატეგიულ ტრანსსასაზღვრო კავშირებს, გააძლიეროს მოქმედებები რეგიონული ენერგეტიკული ბაზრის განვითარებისთვის.
5. ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს თავისი როლი სამხრეთული გაზის კორიდორის პროექტის განვითარებაში და ორგანიზება გაუწიოს მაღალი დონის შეხვედრებს და კონფერენციებს პარტნიორ ქვეყნებთან.
6. კლიმატის მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება და მხარდაჭერა განახლებადი ენერჯის ტრანს სასაზღვრო ვაჭრობისთვის

. ენერგოეფექტურობის გავლენა მოთხოვნის შემცირებაზე

4.1. ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკული მიღწევები ევროკავშირის სამიზნე მაჩვენებლებთან მიმართებით 2015 წლისათვის.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი გულისხმობს ენერგოეფექტურობისადმი ინტეგრირებული მიდგომის შემუშავებას და განხორციელებას. ამ დოკუმენტის მიხედვით, მოთხოვნის მხარის მენეჯმენტის (DSM) ადეკვატური ღონისძიებები ენერჯის გენერაციის, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარებისათვის, ისევე როგორც ენერგოეფექტურობის პროგრამები, თამაშობს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის მიერ ენერჯის მოხმარების დინამიკის ოპტიმიზაციაში. DSM ხელშეწყობისათვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება. საჭიროა დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები ენერგოეფექტური ტექნოლოგიის დანერგვისა და განვითარებისათვის. ენერჯის მწარმოებლებისა და მომხმარებლებისათვის კი შეიქმნას რეგულაციები ენერგოეფექტური პროგრამების განხორციელებისათვის.¹²

¹² <http://bit.ly/2f0eRLw>

საქართველოს არ აქვს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ. კანონი ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის შესახებ მოიცავს დებულებას ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის შესახებ, თუმცა რამე სპეციფიკურ წესს ან სახელმძღვანელოს არ განსაზღვრავს. კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით:

გ) საჭიროა ხელი შეეწყოს ეფექტურობის ზრდას ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების დროს, ეს ეხება ასევე ბუნებრივი აირის მოპოვებას, ტრანსპორტირებას, განაწილებას და მოხმარებას.

როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრს, საქართველოს აქვს ვალდებულება განახორციელოს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული შემდეგი დირექტივები:

1. დირექტივა N2012/27/EU ენერგოეფექტურობის შესახებ, რომელსაც ცვლილებები შეაქვს N2009/125/EC და N2010/30/EU დირექტივებში და აუქმებს დირექტივებს N2004/8/EC და N 2006/32/EC.
2. დირექტივა N2010/31/EU შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ.
3. დირექტივა N2010/30/EU ეტიკეტირების და პროდუქციის შესახებ სხვა სტანდარტული ინფორმაციის მითითებით, ენერგომოხმარების პროდუქტების მიერ ენერჯისა და სხვა წყაროების მოხმარების ინდიკაციის შესახებ.

2015 წელს, EBRD-ის მხარდაჭერით, ენერგეტიკის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ენერგოეფექტურობის პირველი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე (NEEAP). NEEAP მოიცავს ენერგოეფექტურობის გაძლიერების მექანიზმებს და ენერჯის დაზოგვის შესაძლებლობებს ყველა სექტორში. NEEAP შემუშავება დასრულდება 2016 წლის ოქტომბერში.

4.2. ევროკავშირის მხარდაჭერა ენერგოეფექტურობის გაძლიერების კუთხით.

NEEAP-ის სამუშაო ვერსია გამოყოფს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ენერგოეფექტურობის განვითარების კუთხით, რომელიც მოიცავს ენერჯის დაზოგვას და ფინანსურ დაზოგვასაც (ცენტრალური ბიუჯეტი, სხვა წყაროები) თუმცა ამ ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები ჯერჯერობით მოძიებული არ არის.

ევროკავშირი შეიძლება დაეხმაროს საქართველოს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავებაში, გაუწიოს ტექნიკური მხარდაჭერა და მხარდაჭერა ტენოლოგიის გადაცემის კუთხით.

4.3. ეროვნული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები - რეკომენდაციები

საქართველოში ენერგოეფექტურობის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია მთავრობის ნების არარსებობა, რომელსაც არ აქვს გააზრებული ენერგოეფექტურობის მნიშვნელობა. სახელმწიფო ხედვის არასებობის გამო, შეუძლებელია იმ სარგებლის მღება, რაც ენერგოეფექტურობამ შეიძლება მოტანოს ეკონომიკის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის სექტორებისათვის და სოციალური, ტექნოლოგიური და პოლიტიკური განვითარების კუთხით.

მნიშვნელოვანია მთავრობამ შეიმუშაოს კანონები, ეფექტური ინსტიტუტები, ფინანსური მექანიზმები, სამოქმედო გეგმები და მათი მონიტორინგის სისტემები, უზრუნველყოს თავისუფალი ბაზრის არსებობა ენერგოეფექტურობის შენარჩუნებისათვის. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ენერგოეფექტურობის ეროვნული პოლიტიკა რომელიც განსაზღვრავს ძირითად ჩარჩოს ყველა სხვა სისტემისათვის. მნიშვნელოვანია ასევე არსებული დონორული პროექტების და საერთაშორისო მხარდაჭრის გამოყენება, რომელიც შესაძლებელია მოპოვებულ-იქნას მწვანე კლიმტის ფონდის მხრიდან.

პროცესის წარმატებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ტრენინგები და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები. საინფორმაციო კამპანიები უნდა მოიცავდეს ცნობიერების ზრდას ენერგოეფექტური ტექნოლოგიისა და მათი საშუალებით მიღწეული ენერჯის დაზოგვის შესახებ. მნიშვნელოვანია ასევე ხაზი გაესვას, რომ ენერგოეფექტურობა ამაღლებს ცხოვრების სტანდარტს და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი გარემოს დაცვასა და ეკონომიკის განვითარებაში.

შენობები: შენობები მოიხმარენ მთელი ენერჯის დაახლოებით 30%-ს (14-15 ტვტსთ), რომელიც ძირითადად იმპორტირებულია. როგორც წესი, ძველ შენობებში გათბობის ენერჯიაზე მოთხოვნა ნაკლებია, ვიდრე ახალ აშენებულებში, ვინაიდან ისინი ნაკლებად თბებიან ან ნაწილობრივ გათბობის გარეშე არიან დარჩენილი. ახალი შენობების სპეციფიკური ენერგომოხმარება უფრო მაღალია გარე კედლების ცუდი თერმული თვისებების და შენობების გარსში ფანჯრების მაღალი წილის გამო. საპირისპირო სურათია ევროპულ ქვეყნებში, სადაც ახალი შენობების ენერგოეფექტურობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ძველ საცხოვრებელ ფონდში.

ენერგოეფექტური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის და საბინაო ფონდის განახლების განხორციელებისთვის მთავარ ბარიერებს წარმოადგენენ: 1) შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონმდებლობის არარსებობა 2) მოვლა-შენახვის და სარემონტო მომსახურების ხელმისაწვდომობა 3) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემები 4) ღონისძიებების შესახებ დაინტერესებულ მხარეებში გავრცელებული არაინფორმირებულობა და უკუგების ხანგრძლივი ვადები 5) ბუნდოვანი კანონმდებლობა ბინათმფლობელთა ამხანაგობების შესახებ.

ენერგოეფექტურობის კანონმდებლობაში პირველი მოქმედება უნდა იყოს ახალი საცხოვრებელი ბინათმშენებლობისთვის მოთხოვნების დაწესება. განახლებასთან (რემონტთან) დაკავშირებით ეს შეიძლება გაკეთდეს ნაბიჯ-ნაბიჯ. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული შენობებისთვის გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობა გამოიყენება მხოლოდ თუ შენობა არის გარემონტებული, ამგვარად დამატებითი ხარჯები არის მხოლოდ ენერგოეფექტურობის დამატებითი გაუმჯობესება.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია 1: ტექნიკური მოთხოვნების ამოქმედება, რომელიც შეეხება ახალი შენობების ენერგოეფექტურობას, არსებული შენობების შეკეთებას, ეკო-ეფექტურ პროდუქტებსა და ენერჯის მიღებას განახლებადი წყაროებიდან. კანონმდებლობა გამოყენებულ უნდა იქნას ენერგეტიკული გაერთიანების პრინციპების შემთხვევაშიც, ადგლობრივი პირობების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია 2: მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბაზრის განვითარებისათვის ხელშეწყობა, როგორც მოთხოვნის ისე მიწოდების კუთხით.

რეკომენდაცია 3: ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად მაცხოვრებლებისა და მათი ამხანაგობებისათვის თანა-დაფინანსების სქემებისა და ხელმისაწვდომი საბანკო სესხების შექმნა

რეკომენდაცია 4: უნდა მოხდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონმდებლობის რეფორმირება, ბინის მესაკუთრეთა წახალისების მიზნით, რათა მათ ერთობლივად იმოქმედონ და იზრუნონ შენობის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, მიიღონ და აღასრულონ ერთობლივი გადაწყვეტილებები და დაფარონ ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯების, ისევე როგორც რემონტისათვის აღებული სესხის თავიანთი წილი.

5. ეკონომიკის დეკარბონიზაცია


5.1. ქვეყანაში არსებული სიტუაცია პარიზის შეთანხმებასთან მიმართებით - მოვალეობები, ეროვნული გეგმების შესრულება, გამოწვევები

საქართველო არ არის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის დანართ 1-ში შემავალი ქვეყანა, თუმცა, 2010 წელს შეუერთდა კოპენჰაგენის შეთანხმებას და განაცხადა, რომ „საქართველო გადადგამს ნაბიჯებს რათა მიაღწიოს საბაზისო

მონაცემებიდან გადახრას (ბიზნესის ჩვეული დონის ქვემოთ) ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი გაზომვა, ანგარიშგება და შემოწმება.“¹³

2015 წლის სექტემბერში საქართველომ UNFCCC-ისათვის მოამზადა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ (INDC) დოკუმენტი. INDC-ს მიხედვით, საქართველო გეგმავს 15%-ით უპირობოდ შეამციროს სათბური გაზების ემისია (ბიზნესის ჩვეული დონის ქვემოთ) 2030 წლისთვის და აღნიშნული 15% შესაძლოა 25%-მდე გაიზარდოს, თუ ქვეყანას ექნება წვდომა დაბალფასიან ფინანსურ რესურსებსა და ტექნოლოგიებზე. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2016 წლის აპრილში, ნიუ იორკში, აშშ.¹⁴

ამჟამად საქართველო მუშაობს პარიზის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რამაც ქვეყანა დოკუმენტის რატიფიკაციამდე უნდა მიიყვანოს, ეს კი მას საშუალებას მისცემს, ახალი შეთანხმების ფარგლებში, განახორციელოს მექანიზმები და 2020 წლისთვის შეიმუშაოს და წარადგინოს უფრო ამბიციური გეგმები.



5.2. ეროვნული ეკონომიკური პროგრამები დეკარბონიზაციის თვალსაზრისით

საქართველოში აქვს რამდენიმე პროგრამა და პროექტი კლიმატის ცვლების შერბილებასთან დაკავშირებით:

¹³ საქართველოს პირველი ორწლიანი განახლების ანგარიში, 2016

¹⁴ www.moe.gov.ge

- აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო მხარს უჭერს საქართველოს „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის“ (LEDS) შემუშავებაში, რომელიც 2013 წლის მაისში დაიწყო და 2017 წლის ივნისში დასრულდება.
- საქართველო აქტიურადაა ჩართული „ეროვნულად მისაღები კლიმატის შერბილების ქმედებების“ (NAMA) პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში. ამ ინიციატივის ფარგლებში, ოთხი NAMA არის განხორციელებული ან მზადების პროცესშია.
- ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მუშაობას დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიაზე, ასევე ეროვნულად მისაღები კლიმატის შერბილების ქმედებებზე და ტექნოლოგიების გადაცემის ღნისძიებებზე ტექნოლოგიური საჭროების შეფასების საფუძველზე.
- გერმანიის მთავრობა ინტენსიურად მუშაობს საქართველოსთან რათა შეიქმნას MRV სისტემა პარტნიორული პროგრამის საშუალებით, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GiZ უძღვეს.
- 2008 წელს ევროკავშირმა შექმნა მერების შეთანხმება, რომლის ხელმომწერი ქალაქებიც ვალდებული არიან შეამცირონ ემისიები 20%-ით 2020 წლისთვის. 2016 წლის აპრილისთვის საქართველოს ცამეტმა ქალაქმა ხელი მოაწერა ინიციატივას.
- საქართველო ასევე ჩართულია „სუფთა განვითარების მექანიზმში“ (CDM) და უკვე დაარეგისტრირა შვიდი პროექტი. თუმცა, სუფთა განვითარების მექანიზმის გაურკვეველი გლობალური პერსპექტივების გამო, საქართველომ ამ მიმართულებით აქტივობები შეამცირა.

5.3. დეკარბონიზაციისკენ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები

დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია (LEDS) 2017-2020 წლებისათვის განსაზღვრავს შემდეგ ნაბიჯებს.

- ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება
- ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია
- ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის მღება
- ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის მიღება, განხორციელება და მონიტორინგი
- განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმის მიღება, განხორციელება და მონიტორინგი
- ენერგეტიკული სტატისტიკის გაუმჯობესება და ენერგოეფექტურო ინდიკატორების გამოყენება

გრძელვადიანი (2020-2030):

- კანონმდებლობის დახვეწა განახლებადი ენერჯის გამოყენებისათვის
- ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმების განხორციელება
- სატარიფო პოლიტიკის გაუმჯობესება
- ელექტროენერჯისა და გაზის ქსელის განვითარების გეგმების განხორციელება.

2016 წლისათვის, 13 ქართული ქალაქი არის მიერთებული ევროკავშირის ინიციატივას მერების შეთანხმების შესახებ, რითაც აიღეს სათბური გაზების ესმისიის შემცირების ვალდებულება ენერგოეფექტურობის განვითარებითა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებით. ეს ქალაქები ვალდებულები არიან შეიუმუშონ მდგრადი განვითარების გეგმები (SEAP). მერების შეთანხმებას მიერთებული ქალაქების სია და მათი მდგრადი განვითარების სამიზნე მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი: მერების შეთანხმებას მიერთებული ქალაქები

ხელმოწერი	მოსახლეობა	მიერთება	SEAP სტატუსი	CO ₂ შემც. მიზანი
ახალციხე	19,200	31.10. 2014	შემუშავებული	21%
ბათუმი	170,000	15 07. 2011	მიღებული	22%
ბოლნისი	76,600	16.03. 2015		
გორი	50,400	13 07 2012	მიღებული	27%
ყაზბეგი	4,900	27 02 2015		
ქუთაისი	196,600	15 07 2011	მიღებული	23%
მცხეთა	7,800	11 05 2015		
რუსთავი	120,800	2 05 2011	მიღებული	24%
თბილისი	1,100,000	30 03 2010	მიღებული	25%
თელავი	70,900	30 01 2015	შემუშავებული	20%
თე ლ ვ ის მერია	21,800	24 03 2014		
თიანეთი	12,900	13 01 2015		
ზუგდიდი	76,600	1 08 2013	მიღებული	24%


7. კვლევა, ინოვაცია და კონკურენცია

კვლევისა და ინოვაციის ეროვნული ძალები გაერთიანებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ და მოიცავს:

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

- 7 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება რომლებაც აქვთ ცალკე გამოყოფილი კვლევითი მიმართულება.

ბოლო წლებში, საქართველოს მთავრობამ გააძლიერა კვლევებისა და განვითარების მიმართულების მხარდაჭერა. ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს მთავრობის ხარჯებს ამ მიმართულებით. ჩანას, რომ ხარჯები განსაკუთრებით გაზარდა 2015 წელს.



კვლევების ხელშეწყობისათვის, მთავრობამ, ევროკავშირის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, შექმნა 2 დაწესებულება.

- „შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამცენიერო ფონდი“ დაარსდა 2010 წელს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერისათვის.
- „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ (GITA) დაარსდა 2014 წელს კვლევის შედეგად მიღებული პროდუქტების კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

6.1. ენერგეტიკის სექტორში კვლევების პოტენციალი (ინსტიტუტები, შედეგები ბოლო წლების განმავლობაში)

2013 წელს, ანალიტიკური ცენტრს „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ მხარდაჭერით, შეიქმნა ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტი ილიას სახელობის უივერსიტეტში. ინსტიტუტის მიზანია ენერგეტიკის სექტორში კვლევების წარმოება. თუმცა ინსტიტუტი არის ახლადდაარსებული და მისი ფინანსური და ადამიანური რესურსები საჭიროებს შემდგომ განვითარებას.

6.2. ევროკავშირის ინსტიტუტებთან არსებული და სამომავლო თანამშრომლობა.

2016 წლის 29 აპრილს საქართველო შეუერთდა „ჰორიზონტი 2020“-ს და შესაძლებლობა მიეცა სრულუფლებიან წევრად მიიღოს მონაწილეობა პროგრამებში. ამ პროგრამაში მონაწილეობა ქმნის ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა.

- სამეცნიერო დაფინანსება
- ინოვაციების ფონდები
- მსოფლიო კლასის კვლევით ინფრასტრუქტურა
- სხვადასხვა ქსელთან წვდომა
- საუკეთესო ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა.
- ევროპულ კვლევით ჯგუფებთან თანამშრომლობა.

ევროკავშირის პროექტების ფარგლებში, ქართლმა ინსტიტუტებმა მონაწილეობა მიიღეს 353 პროექტში. საქმიანობები ძირითადად მოიცავდა სამეცნიერო კვლევის კოორდინაციას და მხარდაჭერას. ორიზონტი 2020-ის ფარგლებში საქართველო ჩარული იყო 9 პროექტში, თუმცა მათგან არც ერთ არ განეკუთვნება ენერგეტიკას. საერთო ჯამში, საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის პროექტებში ნაკლებია სხვა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებთან შედარებით.

6.3 თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკები, რეკომენდაციები გამლიერებისთვის (ჰორიზონტი 2020, და ა.შ)

საქართველოს მონაწილეობა ევროკავშირის ჩარჩო პროგრამაში ჰორიზონტი 2020 შეიძლება შეფასდეს, როგორც საშუალო ეფექტურობის.

როგორც ახალი წევრი, საქართველო შემდეგ გამოწვევებს ეჩეხება:

- ძალიან კონკურენტული გარემო. ჰორიზონტი 2020-ში კონკურენცია ძალიან მაღალია და მონაწილეებისგან მოითხოვს მაღალი ხარისხის განაცხადების მომზადებას. განაცხადების მომზადება დიდ დროს და პროგრამის პრიორიტეტებისა და სპეციფიკის კარგ ცოდნას მოითხოვს. საქართველოს შედარებით ნაკლებად გამოცდილი ინსტიტუტების/ორგანიზაციებისთვის უფრო რთულია კონკურენცია გაუწიონ ევროკავშირის ქვეყნების უკვე კარგად გამოცდილ ინსტიტუტებს.
- დაარსებული კონსორციუმი და საზოგადოება. ჰორიზონტში წარმატებული მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანა სწორი კონსორციუმის წევრი

იყოს. თუმცა, ახალი წევრისთვის ეს საკმაოდ რთული საკითხია, რადგან გამოცდილ ინსტიტუტებს ასევე გამოცდილ პარტნიორებთან ურჩევნიან თანამშრომლობა, ან მათთან, ვისთანაც უკვე აქვთ წარმატებული მუშაობის გამოცდილება. ეს საკმაოდ ჩაკეტილი საზოგადოებაა და საქართველოს წარმომადგენლებმა უნდა გააკეთონ თავიანთი მაქსიმუმი თავის უკეთ წარმოსაჩენად და საერთაშორისო კონტაქტების დასამყარებლად.

- ევროკავშირის ჩარჩო პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილების ნაკლებობა. ქართველ მონაწილეებს არ აქვთ კარგად გათავისებული პროგრამის პრიორიტეტები, აპლიკაციის შევსების პროცედურის სპეციფიკა, ბიუჯეტირების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს მათი წარმატების შანსს.
- კომპლექსური პროცედურები. წინა ჩარჩო პროგრამებთან შედარებით, ჰორიზონტი 2020-ში პროცედურები საკმაოდ გამარტივებულია, თუმცა ისინი მაინც კომპლექსურ საკითხად რჩება გამოცდილი მონაწილეებისთვისაც კი.
- კვლევით ორგანიზაციებში გრანტის მაძიებელთა ნაკლებობა. საქართველოში ყველა ინსტიტუტს არ აქვს შესაფერისი დაფინანსების მოძიებელთა დანაყოფი და არც ამ დანაყოფებში ჰყავთ კონკრეტული თანამშრომელი, რომელიც ცალკეულად ჰორიზონტი 2020-ში მონაწილეობის მიღებაზე იზრუნებს.
- ქვეყნის სხვა სპეციფიკური გამოწვევები:
 - გეოგრაფიული მდებარეობა. პარტნიორების პოვნის ყველაზე მარტივი გზა საბროკერო ღონისძიებები, საერთაშორისო კონფერენციები და სხვა აქტივობებია, რომლებიც ძირითადად, ევროკავშირის ქვეყნებში იმართება. ქართველი მონაწილეებისთვის მონაწილეობის ხარჯების საკმაოდ მაღალია (ვიზის ღირებულების, მგზავრობის, საცხოვრებლის და სხვა თანხების გათვალისწინებით) და ის უნდა დაიფაროს თავად ინსტიტუტის ან მონაწილის პირადი ბიუჯეტიდან. შესაბამისად, ქართული ინსტიტუტების მონაწილეობის დონე მსგავს ღონისძიებებში ძალიან დაბალია.
 - ეროვნული საკონტაქტო პირების (NCP) ქსელი დეცენტრალიზებულია. ყველა მსგავსი პირი თავიანთ მოვალეობას მოხალისეობრივად ასრულებს. ისინი სხვადასხვა ორგანიზაციაში არიან დასაქმებული და მათი ეროვნული NCP აქტივობები მანამ არ ფინანსდება, სანამ ისინი რაიმე კონკრეტული პროექტის წევრები არ გახდებიან. თუნდაც საბროკერო ღონისძიებებში მონაწილეობა (რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული საკონტაქტო პირების ფუნქციების რეალიზაციისთვის) მათ თავად უნდა დააფინანსონ.

კვლევისა და ინოვაციების კუთხით თანამშრომლობის გასაძლიერებლად არსებობს რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ზემოთ მოცემულ გამოწვევებს მიემართება.

- ეროვნული კვლევის ხარისხი უნდა გაიზარდოს. მიღებულმა ღონისძიებებმა უნდა შეაჩეროს „ტვინების გადინება“ და შეინარჩუნოს კვალიფიციური მკვლევარები ეროვნულ ინსტიტუტებში. ინვესტიციები საჭიროა როგორც კვლევითი ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობისა, ასევე ადამიანური კაპიტალისთვის.
- ადგილობრივი კვლევითი ორგანიზაციების და დამოუკიდებელი მკვლევარების ხილვადობა უნდა გაიზარდოს. შესაბამისად, საჭიროა ცნობიერების გაზრდა იმ შესაძლებლობების შესახებ, რასაც ჰორიზონტი 2020-სა და ევროკავშირის სხვა პროგრამები გვთავაზობენ. საინფორმაციო დღეები რეგულარულად უნდა იმართებოდეს. საჭიროა ხშირი სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, რათა მკვლევარები უკეთ გაეცნონ ჰორიზონტი 2020-ს პროცედურებსა და დაფინანსების შესაძლებლობებს.
- კვლევით ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეს დაფინანსების მომძიებელი დანაყოფი, სულ მცირე ერთი თანამშრომლით, რომელიც იზრუნებს ჰორიზონტი 2020-ს შესაძლებლობებზე და დაემხარება მკვლევარებს აპლიკაციების მომზადებაში.
- ეროვნულ საკონტაქტო პირთა ქსელი უფრო ორგანიზებული უნდა იყოს. საჭიროა მათი აქტივობების უფრო ნათელი კოორდინაცია და დამატებითი მხარდაჭერა, მაგალითად, ამ პირებს უნდა ეხმარებოდნენ საბროკერო ღონისძიებებში მონაწილეობაში, რათა ისინი მიიღონ პოტენციური პარტნიორების წრეში.

დასკვნა

საქართველოს მიერ არჩეული გზა გულისხმობს დემოკრატიულ განვითარებას და ევროინტეგრაციას. ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, 2014 წლის ივნისში, საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას და ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. 2016 წლის 14 ოქტომბერს, საქართველომ ასევე მოაწერა ხელი ენერგეტიკული გაერთიანების წევრობას, რითაც ენერგეტიკის სექტორში რეფორმების გატარების პასუხისმგებლობა აიღო.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, რამაც ენერგეტიკის სექტორის მოდერნიზებას შეუწყო ხელი. მოხდა ენერჯის მიწოდების წყაროების ნაწილობრივი დივერსიფიკაცია, განვითარდა შიდა ენერგეტიკული რესურსები,

თუმცა არსებული ჰიდრორესურსების კლიმატურ კონდიციებზე დამოკიდებულების გამო, მხოლოდ შედა რესურსების ათვისებით მთლიანი მოხმარების დაკმაყოფილების მიღწევა შეუძლებელია.

საქართველო შესაძლებელია მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდეს როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე ეკონომიკური სექტორის კუთხით. გასათვალისწინებელია არსებული დამატებითი პოლიტიკური ვითარებაც, კლიმატი, ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკი, ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ.

მდგრადი და ეფექტური განვითარებისათვის, აუცილებელია საერთაშორისო სატრანზიტო პროექტები და საერთაშორისო თანამშრომლობა. ყველა ზემო ჩამოთვლილი ფაქტორის გათვალისწინებით, საქართველომ უნდა დააჩქაროს ევროკავშირთან დაახლოების პროცესები, აწარმოოს მოლაპარაკებები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისა და განვითარებისათვის (ტერორიზმის და სხვა საფრთხეების გათვალისწინებით). ენერგეტიკული კავშირის 6-ვე მიმართულების გათვალისწინებით, საქართველოს მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება შეუძლია ევროკავშირთან თანამშრომლობის გზით.